

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჭიდაობის კომპლექსური
სპორტული სკოლის მიერ (CPV-60170000 სამგზავრო სატრანსპორტო
საშუალებების დაქირავება მძღოლთან ერთად) მომსახურების შესყიდვა

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის -----
2. ტექნიკური მოთხოვნები -----
3. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები და რაოდენობა -----
4. სხვა მოთხოვნები -----
5. დამატებითი ინფორმაცია -----
6. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მომაცემები
7. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების პროექტი -----
8. დანართი 1. რეკვიზიტები -----
9. დანართი N2 ხარჯთაღრიცხვა -----

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის 'სახელმწიფო შესყიდვების შესახებ და 'გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

2. ტექნიკური მოთხოვნები

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები:

გორის

მუნიციპალიტეტის გამგეობის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლის მიერ (CPV-60170000 სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მძღოლთან ერთად) მომსახურების შესყიდვა.

3. სხვა მოთხოვნები

3.1 მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან გამომდინარე.

3.2 სატენდერო წინადადების ფასი

3.2.1 სატენდერო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2.2 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

3.3 ანგარიშსწორების პირობები

3.3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

3.3.2 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3.3.3 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

3.3.4 მიმწოდებელი ორი დღით ადრე იქნება ინფორმირებული მარშუტის დაწყების და მგზავრების ზუსტი რაოდენობის შესახებ.

4. დამატებითი ინფორმაცია

4.1 პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

4.2 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია მიიღოს სატენდერო კომისიის აპარატში წერილობითი მომართვის საფუძველზე შემდეგი საკონტაქტო პირისგან:

ლესო მარტინოვი +995551033636

5. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები

5.1 კომპანიის რეკვიზიტები (საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი), ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტიც.

5.2 ფასების ცხრილი დანართი N2-ის შესაბამისად.

5.3 მონაცემები პრეტენდენტის მფლობელობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების/საშუალებების შესახებ (დანართი N3-ის შესაბამისად).

5.4 აუცილებელია პრეტენდენტმა ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოადგინოს ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური დათვალიერების დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N -----

(მომსახურების შესყიდვა)

ქალაქ გორი

----- 2015 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1 ერთის მხრივ, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლა, - შემდეგში „შემსყიდველი“-, ----- სახით და მეორეს მხრივ, ----- სახით- შემდეგში „მიმწოდებელი“- ვდებთ

ხელშეკრულებას შემდეგზე:

„შემსყიდველი“ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით შეისყიდის, ხოლო „მიმწოდებელი“ მიაწოდებს ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) მომსახურებას (შემდეგში „მომსახურება“)

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია და ქვეკატეგორია

2.1 შესყიდვის ობიექტი - ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) მომსახურების შესყიდვა

2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.

სატენდერო განცხადების ნომერი -

შესყიდვის კატეგორია - 60100000 - საავტომობილო ტრანსპორტი მომსახურებები

კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 60170000 - სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მძღოლთან ერთად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 მომსახურების ღირებულება შეადგენს ----- ლარი, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები ----- ჩათვლით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი) და ანგარიშგაქტურა.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს ----- ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება, უნაღდო ანგარიშსწორების საფუძველზე, ეტაპობრივად მოწოდებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) საბანკო დღის ვადაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს, როგორც თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს.

10.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

10.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს -----

10.4 მომსახურების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ნორმებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს. მიმწოდებლის მიერ მომსახურების შესრულების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე მთლიანად პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.2 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

11.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

11.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით და შემსყიდველის მიერ დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაციით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფირმა დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის ფაქტიური ან იურიდიული მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ნომერი:

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

N	ტრანსპორტირების დაწვევისა და დამთავრების ადგილი	შენიშვნა	მგზავრთა რაოდენობა	მარშრუტის ღირებულება
1	გორი-ბოლნისი-გორი	ერთი ღამისთევით	არაუმეტეს 20 ადამიანი	
2	გორი-ბათუმი-გორი	ორი ღამისთევით	არაუმეტეს 20 ადამიანი	
3	გორი-ყვარელი-გორი	ერთი ღამისთევით	არაუმეტეს 20 ადამიანი	
4	გორი-დედოფლისწყარო-გორი	ღამისთევის გარეშე	არაუმეტეს 20 ადამიანი	
5	გორი-ბოლნისი-გორი	ღამისთევის გარეშე	არაუმეტეს 20 ადამიანი	
6	გორი-ქარელი-გორი	ღამისთევის გარეშე	არაუმეტეს 20 ადამიანი	
7	გორი-ქარელი-გორი	ღამისთევის გარეშე	არაუმეტეს 20 ადამიანი	
8	გორი-ზესტაფონი-გორი	ერთი ღამისთევით	არაუმეტეს 20 ადამიანი	
9	გორი-დუშეთი-გორი	ღამისთევის გარეშე	არაუმეტეს 20 ადამიანი	
10	გორი-ახმეტა-გორი	ერთი ღამისთევით	არაუმეტეს 20 ადამიანი	
11	გორი-ქარელი-გორი	ღამისთევის გარეშე	არაუმეტეს 20 ადამიანი	
12	გორი-ქარელი-გორი	ღამისთევის გარეშე	არაუმეტეს 20 ადამიანი	
13	გორი-ბოლნისი-გორი	ერთი ღამისთევით	არაუმეტეს 20 ადამიანი	
14	გორი-ქარელი-გორი	ღამისთევის გარეშე	არაუმეტეს 20 ადამიანი	
15	გორი-ქარელი-გორი	ღამისთევის გარეშე	არაუმეტეს 20 ადამიანი	
16	გორი-დედოფლისწყარო-გორი	ერთი ღამისთევით	არაუმეტეს 20 ადამიანი	
17	გორი-მარნეული-გორი	ერთი ღამისთევით	არაუმეტეს 20 ადამიანი	
18	გორი-ქუთაისი-გორი	ერთი ღამისთევით	არაუმეტეს 20 ადამიანი	
19	გორი-ზუგდიდი-გორი	ერთი ღამისთევით	არაუმეტეს 20 ადამიანი	
20	გორი-თბილისი-გორი	ღამისთევის გარეშე	არაუმეტეს 20 ადამიანი	
21	გორი-თბილისი-გორი	ღამისთევის გარეშე	არაუმეტეს 20 ადამიანი	
22	გორი-რუსთავი-გორი	ერთი ღამისთევით	არაუმეტეს 20 ადამიანი	
23	გორი-ერევანი-გორი	ორი ღამისთევით	არაუმეტეს 20 ადამიანი	

• პერიოდულად სპორტული კალენდრის ცვლილებიდან გამომდინარე შეიძლება მოხდეს მარშრუტების ცვლილება, რაზეც მიმწოდებელი წინასწარ იქნება ინფორმირებული

დანართი N3

ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ

N	ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპი	მარკა, მოდელი	სახელმწიფო სანომრე ნიშანი	მდგომარეობა (ახალი, კარგი, ნახმარი)	მფლობელობის ტიპი (საკუთარი, იჯარა)

პრეტენდენტის ხელმოწერა _____